საქართველოს მთავრობის

დადგენილება №718

2020 წლის 30 ნოემბერი

ქ. თბილისი

„იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „იზოლაციისა და კარანტინის წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მაისის №322 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 23/05/2020, 470230000.10.003.022034) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული „იზოლაციისა და კარანტინის წესების“ მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. დაევალოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატს, განახორციელოს ოპერაციული შტაბის საქმიანობის ადმინისტრაციული, სამართლებრივი და მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა, მათ შორის, ოპერაციული შტაბის საქმიანობისათვის საჭირო სამუშაო სივრცის გამოსაყოფად შესაბამის უძრავ ნივთზე თხოვების ხელშეკრულების გაფორმება, აღნიშნული ფართის მოვლა-პატრონობა (დასუფთავების, კომუნალური გადასახადებისა და კავშირგაბმულობის ხარჯი) და ოპერაციულ შტაბში საქმიანობის განმახორციელებელი პირების კვებითა და კავშირგაბმულობით უზრუნველყოფა.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და გავრცელდეს 2020 წლის 1 დეკემბრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**